ფინანსური აქტივების ზოგიერთი კატეგორიის შემთხვევაში, როგორცაა სავაჭრო მოთხოვნები, აქტივები გაუფასურებაზე მოწმდება ჯგუფურად მაშინაც კი, თუ ინდივიდუალურად შეფასებისას დადგინდა, რომ გაუფასურებული არ არის. მოთხოვნების პორტფელის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება იყოს კომპანიის წარსული გამოცდილება გადახდების აკრეფასთან დაკავშირებით, ან ქვეყნის ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების მკვეთრი გაუარესება.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ გაუფასურების ხარჯი შემდგომ პერიოდში შემცირდა და ეს კლება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება ადრე აღრიცხული გაუფასურების ხარჯის გაუქმება მოგება-ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემდეგ არ აჭარბებდეს ამორტიზებულ ღირებულებას გაუფასურების აღიარების გარეშე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია/ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ კომპანიამ მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც სხვა მხარეს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, კომპანია აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას. თუ კომპანიამ შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის/ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მოგებაში ან ზარალში ამორტიზებული ღირებულებებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებს და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია/ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები იფარება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარებული და შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და თანხას მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაუფასურების გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება ეფუძნება ხელმძღვანელობის შეფასებას ინდივიდუალური კლიენტისგან მოთხოვნის ამოღების ალბათობასთან. კლიენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები,

გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის აღბატობა, ან გადახდისუუნარობა იმის მაჩვენებლებია, რომ მოთხოვნა პოტენციურად გაუფასურებულია.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას.

ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის (ოფშორი) მქონე იურისდიქციებში, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები იბეგრება გადახდის წყაროსთან.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) ავანსის მიღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლელი დღგ-ის თანხით, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე.

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა

საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა მნიშვნელოვნად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ექვემდებარება საგადასახადო ორგანოების მხრიდან გეგმიური თუ კამერალური შემოწმების დროს. საგადასახადო შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს საგადასახადო შემოწმების წლამდე წინა სამი კალენდარული წლის პერიოდები. კომპანია დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება საგადასახადო კანონმდებლობის მისული გაგების საფუძველზე.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებსა და დაკავშირებულ საწარმოო ზედნაღებ ხარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობიდან დადგენილი გასაყიდი ფასით, შემცირებული რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (რომლებიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ღივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობით კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები შეზღუდულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გაუნაწილებელი მოგების ნაშთით. ღივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის რეალიზებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მყიდველისათვის კონტროლის გადაცემის შედეგად.

ანარიცხები

ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

საქონლის რეალიზაცია

რეალიზაცია აღიარებულია მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებულია კლიენტისთვის, კლიენტს სრული დისკრეციული უფლება აქვს საქონელზე, და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულებები, რომლებიც გავლენას იქონიებს კლიენტის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაზიდულია კლიენტთან და მან მიიღო საქონელი ან კომპანიას აქვს დასაბუთებული მტკიცებულება იმისა, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილდა.

თანამშრომელთა ანაზღაურება

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა შესაბამისი მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

3.1 შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს.

შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და შემდგომ პერიოდებში, როდესაც ასეთ ცვლილებებს ექნებათ გავლენა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე მსჯელობებს. მსჯელობებს, რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, არის:

- **დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება**

ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. მსჯელობა გამოიყენება იმისათვის, რომ დადგინდეს, ოპერაციების ფასები განისაზღვრება თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით. მსჯელობა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. განსჯის საფუძველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზია, რაც კომპანიის მიერ გამოვლინდა საქართველოში მსგავსი ტიპის სესხების საბაზრო პირობების საფუძველზე.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა**

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიან მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივებისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი.

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	-
შეძენა	78 363	592 624	70 831	66 036	807 855
გასვლა	-	(20 249)	-	-	(20 249)
2022 წლის 31 დეკემბერი	78 363	572 376	70 831	66 036	787 607
შეძენა	-	-	18 592	140 240	158 832
გასვლა	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	78 363	572 376	89 424	206 276	946 439
დაგროვილი ცვეთა					
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	-
წლის ცვეთის ხარჯი	(8 465)	(70 924)	(12 318)	(8 088)	(99 795)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	1 228	-	-	1 228
2022 წლის 31 დეკემბერი	(8 465)	(69 695)	(12 318)	(8 088)	(98 566)
წლის ცვეთის ხარჯი	(11 195)	(81 768)	(16 084)	(26 557)	(135 604)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	(19 660)	(151 463)	(28 403)	(34 644)	(234 170)
ნეტო საბალანსო ღირებულება					
2022 წლის 31 დეკემბერი	69 898	502 680	58 513	57 949	689 040
2023 წლის 31 დეკემბერი	58 703	420 912	61 021	171 632	712 269

5. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	ლიცენზიები	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-
შეძენა	19 646	19 646
გასვლა	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	19 646	19 646
შეძენა	-	-
გასვლა	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	19 646	19 646
დაგროვილი ცვეთა		
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-
წლის ცვეთის ხარჯი	(2 122)	(2 122)
2022 წლის 31 დეკემბერი	(2 122)	(2 122)
წლის ცვეთის ხარჯი	(2 807)	(2 807)
2023 წლის 31 დეკემბერი	(4 929)	(4 929)
ნეტო საბალანსო ღირებულება		
2022 წლის 31 დეკემბერი	17 524	17 524
2023 წლის 31 დეკემბერი	14 717	14 717

6. მონაწილეობა სხვა კომპანიაში

მონაწილეობა სხვა კომპანიაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
შპს გვირილა რითეილი	7 535 368	6 823 737
სულ ინვესტიციები	7 535 368	6 823 737

7. მარაგები

მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
საქონელი	541 434	1 372 943
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	28 880	28 731
სულ მარაგები	570 314	1 401 674

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	1 504 408	612 962
სხვა მოთხოვნები	26 840	114 703
გადახდილი ავანსები	14 038	66 445
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 545 286	794 110

9. გაცემული სესხები

გაცემული სესხები	ვალუტა	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	ვადა	2023	2022
ლაშა ჩოჩელი	GEL	17.5%	2027	-	60 000
თეონა გაბრიელაშვილი	GEL	20.0%	2024	121 545	-
სულ სესხები				121 545	60 000

სესხის ვადიანობა

	2023	2022
მოკლევადიანი სესხები	121 545	60 000
გრძელვადიანი სესხები	-	-
სულ გაცემული თანხები	121 545	60 000

საპროცენტო შემოსავალი

	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	95 980	69 641
სულ ნასესხების სახსრები	95 980	69 641

10. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	80 747	430 048
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	80 747	430 048

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	3 631 043	3 060 866
გადასახდელი ხელფასები	243 955	192 738
საგადასახადო ვალდებულებები	122 703	232 209
სხვა ვალდებულებები	59 505	15 126
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4 057 205	3 500 939

12. ამონაგები

ამონაგები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	41 887 940	38 928 657
შემოსავალი მომსახურებიდან	375 265	106 900
სულ შემოსავლები	42 263 205	39 035 557

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	35 457 894	34 523 542
სულ თვითღირებულება	35 457 894	34 523 542

14. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
მიწის რეალიზაციიდან მიღებული მოგება	-	2 441 946
სულ სხვა შემოსავლები	-	2 441 946

15. სასაწყობო, ლოგისტიკური და სადისტრიბუციო დანახარჯები

სასაწყობო, ლოგისტიკური და სადისტრიბუციო დანახარჯები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
შრომის ანაზღაურება დისტრიბუცია და საწყობი	3 518 025	2 352 394
საწვავის ხარჯი	1 155 669	1 142 468
ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯები	704 677	416 480
მიწოდების სხვა ხარჯები	433 737	66 905
საიჯარო ქირა	326 751	291 057
კომუნალური ხარჯი	108 282	100 544
ცვეთა და ამორტიზაცია	81 768	69 695
სულ სასაწყობო, ლოგისტიკური და სადისტრიბუციო დანახარჯები	6 328 908	4 439 543

16. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	546 816	700 811
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	273 401	194 320
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	77 741	61 115
საგადასახადო ხარჯები	73 228	-
ცვეთა და ამორტიზაცია	56 642	38 920
საწვავის ხარჯი	22 236	53 162
კომუნიკაციის ხარჯი	17 203	14 074
საიჯარო ქირა	300	39 903
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	1 067 568	1 102 307

17. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს კომპანიის მფლობელებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ, იურიდიულ ფორმას.

კომპანიას და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 488 098
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	541 210
გაცემული სესხები	

კომპანიას და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	311 709
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-
გაცემული სესხები	60 000

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დაკავშირებული მხარეები
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	43 806 955
მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავალი	375 265
სხვა შემოსავალი	
ფინანსური შემოსავალი	

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დაკავშირებული მხარეები
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	362 419
მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავალი	18 692
სხვა შემოსავალი	2 441 946
ფინანსური შემოსავალი	69 641

ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია

ხელმძღვანელი პირების ხელფასები, ბონუსები და სხვა არაფულადი სარგებელი შესულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და 2023 წლის განმავლობაში შეადგენდა 307,745 ლარს,

ხოლო 2022 წლის განმავლობაში - 227,904 ლარს. ხელმძღვანელი პირების მოიცავს დირექტორს, ფინანსურ დირექტორს და განვითარების ხელმძღვანელს.

18. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ვალდებულებები

(ლარი)	სავაჭრო ვალდებულებები
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	3 631 043
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	3 060 866

ფინანსური აქტივები

(ლარი)	ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	სავაჭრო მოთხოვნები
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	80 747	1 504 408
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	430 048	612 962

19. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივებსა და ვალდებულებებს. როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები კომპანიას არ გააჩნია.

2023

	მოკლევადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	სალდო
ლარში ნომინირებული	2 317 892	(4 057 206)	(1 739 314)
ჯამი	2 317 892	(4 057 206)	(1 739 314)

2022

	მოკლევადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	სალდო
ლარში ნომინირებული	2 685 831	(3 500 939)	(815 108)
ჯამი	2 685 831	(3 500 939)	(815 108)

საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოკლევადიანი ვალდებულებები აღემატება მოკლევადიან აქტივებს 815,108 ლარით თუმცა ჯგუფის მენეჯმენტის განმარტებით უარყოფითი საღლო წარმოადგენს საოპერაციო სფეროსთვის დამახასიათებელ მონაცემს და ჯგუფისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

20. საკრედიტო რისკი

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს ამ რისკს, ძირითადად შედგება სავაჭრო მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ექვივალენტებისგან. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება პროდუქციის საკრედიტო პირობებით გაყიდვების და სხვა კონტრაგენტებთან ტრანზაქციების შედეგად.

ხელმძღვანელობის აზრით, ჯგუფს ზარალის დიდი რისკი, გარდა უკვე აღრიცხული რეზერვებისა, არ ემუქრება.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემდეგნაირად:

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	1 545 286	794 110
ფული საბანკო ანგარიშებზე	80 747	430 048
ჯამი	1 626 033	1 224 157

21. სასამართლო დავები

ჯგუფს და მასში შემავალ სუბიექტებს არ გააჩნია მიმდინარე სასამართლო დავები. რაც შეეხება მოსალოდნელ სასამართლო დავებს, მსგავსი სამართლებრივი რისკის მატარებელი საკითხი ხელმძღვანელობის აზრით არ იკვეთება.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2024 წლის თებერვალში შპს გვირილამ შპს გვირილა ინვესტიისაგან აიღო სესხი 621,607.46 ლარის ოდენობით. 2024 წლის თებერვალში კომპანიის დირექტორი შეიცვალა და ლაშა ჩოჩელის ნაცვლად დაინიშნა ნიკოლოზ პაიაშვილი (პ/ნ 01013028515).

2022 წელს შპს გვირილა რითეილის 100% წილიდან 60% უსასყიდლოდ, ინვესტიციის განხორციელების სანაცვლოდ გადაეცა შპს „დეილი“-ს (ს/კ 406088638). აღნიშნული გარიგება დადებულია დამატებითი პირობებით, რომელთა შესრულების ვადა განისაზღვრა შემდგომი პერიოდებისთვის, რომელიც სცდება მიმდინარე საანგარიშო პერიოდს. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის წილის დათმობის შეთანხმებით განსაზღვრული პირობები დამდგარი არ არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების რომელიმე მუხლის რაიმე სახის კორექტირებას არ საჭიროებს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ფინანსური

ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

23. 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები

2023 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შესწორებული სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას. მოსალოდნელია, რომ ქვემოთ წარმოდგენილი ახალი და შესწორებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

- ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანის ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის შესწორებები).
- მომწოდებელთა საფინანსო გარიგებები (ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები).
- საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუ იჯარაში (ფასს 16-ის შესწორებები).
- გაცვლის საშუალების არარსებობა (ბასს 21-ის შესწორებები).

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „გვირილას“-ს მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გვირილა“-ს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „გვირილა“-ს მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობითი ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

გროუ კონსალტინგი

ირმა ხაჩიძე
მმართველი პარტნიორი
2024 წელი, თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „გვირილას“-ს მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გვირილა“-ს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „გვირილა“-ს მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობითი ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

გროუ კონსალტინგი

ირმა ხაჩიძე
მმართველი პარტნიორი
2024 წელი, თბილისი, საქართველო



შპს გვირილა

მმართველობის ანგარიშგება

2023 წელი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „გვირილა“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა 2021 წლის 11 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინვესტირება შვილობილ კომპანიებში. ამჟამად კომპანია ფლობს წილს ორ შვილობილ კომპანიაში, ესენია, შპს „გვირილა ინვესტი“ სადაც 80%-იანი წილის მფლობელი და შპს „გვირილა რითეილი“ ფლობს 40 %-იანი წილს.

ორივე კომპანიის საქმიანობის მიმართულება განსხვავებულია შპს გვირილა რითელის (შემდგომში საფირმო დასახელება „გვირილა“) საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სასურსათო საქონლით ვაჭრობა საცალო მომხარებელზე კერძოდ კი სავაჭრო ქსელი საქართველოს მამულებით უკვე წარმოდგენილია 360 მაღაზიით, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში. შპს გვირილა ინვესტის საქმიანობის სფეროს კი ამჟამად წამოადგენს ორი მიმართულება, პირველი ხილ-ბოსტნის მიწოდება, როგორც გვირილას ქსელში ასევე შპს რითეილ ჯგუფის (საფირმო დასახელება „მაგნიტი“) და შპს დეილის მარკეტების ქსელში (საფირმო დასახელება „დეილი“), მეორე მიმართულებით კი გვირილა ინვესტი ფლობს საწარმოო ბაზას, (საფირმო დასახელება „ბეიქ სთეიშენ“) სადაც ხდება პურფუნთუშეულის წარმოება და გვირილას მარკეტების ქსელის მომარაგება მზა პროდუქციით და ასევე ადგილზე საცალო რელიზაცია მომხმარებელზე.


კომპანიამ სამ პარტნიორთან ერთად სადისტრიბუციო ქსელი შპს „გვირილა ინვესტი“ დაარსა 2021 წლის 21 დეკემბერს, სადაც 80% წილი ეკუთვნის, მისი გავნიტარების შემდეგ, რითელური ქსელის მიმართულებით მზარდი მოთხოვნის შემდეგ, 2022 წლის 30 მაისს დაარსა შპს „გვირილა რითეილი“, სადაც თავიდან იყო 100%-იანი წილის მფლობელი, განვითარების მიზნით კი 2022 წლის 16 სექტემბერს 40%-ის წილი გაასხვისა შპს „დეილი“-ზე, რამაც რა თქმა უნდა ხელი შეუწყო ქსელის უფრო განვითარებას და მთელი საქართველოს მამულებით გასვლას.

კომპანია საინვესტიციო კაპიტალს მოიძიებს, როგორც დამფუძნებლისგან ასევე გარე საფინანსო წყაროებიდან.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

შპს გვირილას შვილობილი კომპანიების საქმიანობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე საუბრისას, კომპანიისთვის 2023 წელი, როგორც ინვესტორი კომპანიისთვის არის მეორე წელი, წინა წელთან შედარებით საინვესტიციო კაპიტალი 711 631 ლარით გაზარდა და შეადგინა 7 535 368 ლარი, საერთო ჯამში კი გრძელვადიანი აქტივები გაიზარდა 732 053 ლარით. ამონაგები გაზრდილია 8%-ით.

დირექტორი



/ნ. პაიშვილი/